№ 20 იანვარი 26, პარასკევი 1890 იანვა... პარასკევი № 20



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური



# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


საზაფხულო თეატრი

პარასკევს, 26 იანვარს,

მომავალ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება:

**ჰუგენოტები**

ოთხ-მოქმედებიანი ოპერა მეიერბერისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები საოპერო დასისა.

ლოჟებისა, „ბალკონისა“ და პირველის ორ-წყება სავარძლების ბილეთები ისყიდება კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, სხვა ბილეთები-კი—თეატრის კასაში.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

(3—3)

ქართული თეატრი

პარასკევს, 26 იანვარს,

ბენეფისი

მეორე ხარისხის არტისტებისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ქოროღლი**

ტრაგედია 5 მოქ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


ტფილისი, 25 იანვარი

ჩვენ ამას წინად საუბარი ჩამოვაგდეთ ეგრედ წოდებულ „გამსესხებელ-შემნახველ საზოგადოებათა“ შესახებ ჩვენში. იმ ცნობათაგან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, სჩანს, რომ მას აქედ, რაც ამ გვარის კრედიტის შემოღება დავიწყეთ, ამიერ და იმიერ საქართველოში სულ ოც-და-თექვსმეტი წესდება ყოფილა დამტკიცებული მთავრობისაგან ამხანაგობათა შესადგენად. აქედამ ჩვიდმეტი წესდება არის ამიერ საქართველოსი და ცხრამეტი იმიერისა. ამათგან სამი ამხანაგობა არც-კი დაარსებულა, თუმცა წესდება დამტკიცებული ჰქონია. დანარჩენი ოც-და-ცამეტი გამართულა და დაუწყია მოქმედება. ამათშიაც გაუქმებულა ცამეტი და თავის დუქან-ბაზარი აულაგებია. დარჩენილა სულ ოცი. ამ ოცშიაც არის რომელიმე ამხანაგობა გაუქმებული თუ არა—არა ვიცით-რა. ეს კი ნამდვილია, რომ თუ სადმე ეგ ამხანაგობანი კვლავ არსებობენ, იმათი არსებობა არსებობად არ ჩაითვლება: ძლივ-ძლიობით თურმე არჩენენ თავის საქმეებს და თითქმის სულის ამოხდომაზე მიმდგარან.

ასეთი დასასრული იმ დასაწყისისა, რომელმაც დიდი და პატარა ჩვენში მისძრა-მოსძრა, რომლისაგანაც ყველანი ბევრს რასმეს მოველოდებით და რომელიც დიდს იმედებს იძლეოდა, მეტად სამწუხაროა, მეტად ჩასაფიქრებელი. მარტო ნუგეშად ის-ღა თუა დღეს ჩვენთვის, რომ ეგეც გამოვცადეთ, ევეც ვნახეთ და ჩვენის სოფლის საქმე ამ მხრით მაინც არ გასწორდა. გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ერთხელ ნახულს კაცი ასე თუ ისე გამოიყენებს შემდეგისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თუ ნაცადს ისე მოვექცევით, როგორც ჭკუის მასწავლებელს მაგალითს. თუ არა და, დროც ტყუილად დაკარგულია და ამაგიც.

ეს ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა ეს ამხანაგობანი. ვიმეორებთ ეს საკმაოდ გძელი ხანია, რომ კაცმა ამ გძელ ხანში ნახული, გამონაცადი დღეს ჭკუად მოიხმაროს და გაარკვიოს რა ჭია ჩაუჯდა გულში პირველს ხანებშივე ამხანაგობას, რა სოლი აგდდა, ან რა გაუტყდა იმ თვალს, რომელიც ატრიალებს ამ გვარ ამხანაგობათა საქმეს? რაშია მისი ნაკლი, რაშია მისი შეუფერებლობა, რატომ ასეთი ბოლო მოჰყვა მაშინ, როდესაც ასეთის იმედებით და ქადილით გვესტუმრა პირველ ხანებში? სასურველია და ფრიად სასარგებლოც იქნება ვიცოდეთ რა მიზეზი იყო, რომ ამ გვარმა ამხანაგობამ ჩვენში ვერც ფეხი მოიკიდა რიგიანად და ვერც თავი შეიმაგრა.

მართალია, თავდაპირველ მიზეზად იმას ჰხადიან, რომ ვითომც გულ-უხ-კეცობას მომზადებული კაცები არა ჰყავანდა, რომ ეს საქმე გაეგოთ და მის ბუნებურ ვითარების გამო წარემართნათ. უეჭველია, ამ მიზეზს უსათუოდ ცოტად, თუ ბევრად ადგილი აქვს აქ, მაგრამ აქ რომ მარტო უკაცობას დავაბრალოთ მომხდარი ამბავი, ჩვენის ფიქრით, უსაბუთო იქნება და თუ არ უსაბუთო, წინასწარი მაინც.

ბევრი საქმეა იმისთანა, რომ თვითონ თავის გულშივე ატარებს იმ სენს, რომელიც თავის დროზე ბოლოს მოუღებს ხოლმე. ამისთანა საქმე, რაც უნდა კარგი მცოდნე და ხერხიანი კაცებიც შეხვდეს, თავს არ დაიჭერს და დღეს იქნება თუ ხვალე თავის აგებულებაში ჩამდგარს ჭირს უნდა თან გადაჰყვეს. აი ამ მხრით ეს ამხანაგობანი გამოძიებულნი არ არიან. ძნელია კაცმა გამოიძიოს იგინი მარტო იმ წესდების ავ-კარგიანობის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვთ დადებული ამ გვარ საკრედიტო დაწესებულებათ. ეს გვარი გამოძიება უფრო თეორიული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენს ამხანაგობათ მთელის ცამეტ-თოთხმეტის წლის ისტორია აქვთ; მთელს ცამეტ-თოთხმეტის წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოუვლიათ, ბევრი რამ გადაჰხედიათ მერე არა ერთს რომელსამე ადგილას, არამედ ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველს კუთხეში, ქართლსა, კახეთსა და იმერეთში. მაგალითები ამ ამხანაგობათა ავ-კარგიანობისა ამ გძელ ხანში ყველგან ბევრი მოგროვდებოდა და ეს მაგალითები რომ ხელთა ჰქონდეს კაცს, შეს ძლო იქმნებოდა ცოტად თუ ბევრად უტყუარი აზრი გამოერკვია მასზედ თუ,—რა იყო ჩვენის სოფლისა და გლეხკაცობისათვის სარგო და ხელ-მოსაჭიდებელი ამ ამხანაგობაში და რა არა. აქედამ კაცს შეეძლო გამოეცნა რა გვარი საკრედიტო და-

---

# ფელეტონი

## მირიამი

(ძველი ბაბილონური მოთხრობა)

(დასასრული*)

მელქაზი და მწიგნობარი თავიანთ საქმეში იყვნენ გართულნი და ამ დროს-კი ბოროტ-გამზრახველი საშინელს განსაცდელს უმზადებდა საცოდავებს.

ის ხელმწიფის მხლებელი, რომელიც მირიამსა და ნაბოს თვალს ადევნებდა ისტარის მოედნიდგან, სხვას ჰფიქრობდა გულში: იმას არ დაავიწყდა ლამაზი მირიამი.

სარდუკარი (ეს იყო იმისი სახელი) ისეთის ჯიშის ადამიანი იყო, რომელმაც კარგად იცის თავის ბატონს და ბრძანებელს როგორ მიულაქუცოს და ამით გამოსცინცლოს ყოველივე, რის გამოცინცვლაც შეიძლება. ფხელურის მანქანებით იმან მოიპოვა ნაბუქოდონოსორის ნდობა და ოსტატურად ახერხებდა, რომ იგი ნდობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. იმან უამბო ხელმწიფეს მირიამის სილამაზე და აღუძრა სურვილი იმის ნახვისა. ნაბუქოდონოსორს აღთქმული ჰქონდა მუდმივი მფარველობა ტყვე ებრაელების რაბინებისა და ამიტომ ეჩოთირებოდა, მეფური ძალა გამოეჩინა და მირიამი უეცრივ სასახლეში მოეთხოვა. სარდუკარს გამოუცხადა, რომ მიეიღებ მირიამს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ნებით მოვა სასახლეშიო. სარდუკარი მიხვდა, რომ იმის დაწყებული საქმე როგორღაც ვერა ხერხდებოდა და ძალიან შეჰფიქრიანდა. ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ მოისაზრა, როგორ მოეხერხებინა, რომ მირიამი თავად მისულიყო სასახლეში. აი თვალი მოჰკრა, რომ ნაბომ მირიამის მამა წიგნთ-საცავში შეიყვანა. სარდუკარი მაშინვე უკან აედევნა. გულმა უგრძნო, რომ ახლა-კი შესრულდება ჩემი სურვილიო. როდესაც დაინახა, რომ საიდუმლო წიგნთ-საწყობში შეიდნენ, გაექანა დარაჯის უფროსთან და სთხოვა, ნაბო და იმის ამხანაგი დაიჭირეო. ბრალს მე ვიტვირთებ, თუ ჩემი ეჭვი ტყუილი გამოდგესო. როდესაც მწიგნობარი და რაბინი წიგნთ-საცავიდგან გამოვიდნენ, შეიარაღებული კაცები დაუხვდნენ და გააკავეს. მელქაზს რომ ჯიბეში დაწერილი პაპირუსის ფურცელი უპოვეს, ეს დარაჯის უფროსს ისეთ საბუთად ეჩვენა, რომ მაშინვე შეაკვრევინა და ბნელეთში ჩააგდო. სარდუკარმა ხანი არ გაატარა და ყველაფერი უამბო ხელმწიფეს, მხოლოდ მირიამზე არაფერი არა უთქვამს-რა. უნდოდა, რომ თავისით შეეტყო მამის უბედურება და ცოტა ხანს დარდსა და ნაღველს მისცემოდა.

**

მელქაზის ამბავი მალე შეიტყეს ებრაელებმა. მთელი იმათი საზოგადოება შეძრწუნდა. მირიამი სასოწარკვეთილებას მიეცა. ეშინოდა მამის სიკვდილისა და თავის მფარველის ნაბოსი, რომელსაც სიყვარულს მიუხედა და თათონაც შეეუყვარდა.

ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენელნი რამდენჯერმე შეიკრიბნენ და სჯა ჰქონდათ, თუ როგორ ეშველნათ მელქაზისთვის. გადასწყვიტეს ხელმწიფისთვის მიემართათ თხოვნით. მოციქულად ამოირჩიეს დანიელი, რომელიც ხელმწიფესთან მსახურებდა ბალტასარის სახელით. ამ დანიელს დიდი ნდობა და პატივი ჰქონდა მიხვეჭილი და იმედი იყო, საქმეს კარგად წაიყვანდა. მაგრამ ბევრს ეცადა და ვერა გააწყორა. ხელმწიფემ გადაჭრით უთხრა, რომ ამისთანა მძიმე დანაშაულს დაუსჯელად ვერ დავტოვებო. დანიელისა დიდი ხათრი და პატივისცემა ჰქონდა ნაბუქოდონოსორს და ამიტომ დაჰპირდა, სხვა ებრაელებს არაფერს ვავნებო.

საშინელება იყო მირიამისათვის ეს დღეები. ბევრსა ნაღვლობდა, ჰფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი ვერა მოელონებინა-რა. ერთს საღამოს დარდით გატაცებული მირიამი სკამზედ ჩამომჯდარიყო და თვალთაგან ცხარე ცრემლი სცვიოდა. უეცრად კარების კაკუნი მოისმა. მოახლემ გააღო და სარდუკარი შემოვიდა. ეს პირმოთნე და ქლესა კაცი კადნიერად მიუახლოვდა ქალს და უთხრა:

— შევიტყე შენი მწუხარება და მოვედი გზა გასწავლო უბედურების ასაცილებლად. ძალიან კარგი იქნება, შენ თითონ მიხვიდე ხელმწიფესთან და სთხოვო. იქნება შენმა თხოვნამ მოარბილოს ნაბუქოდონოსორი. ხვალ მოდი სასახლეში, მე გაგიძღვები და შეგიყვან იმასთან.

— ვინა ხარ შენ? ჰკითხა მირიამმა და ცოტა არ იყოს გულს მოეცოტა.

— ხელმწიფის მხლებელი ვარ.

— დიდადა გმადლობ სიკეთისთვის! წარმოსთქვა სიხარულით აღელვებულმა ქალმა. შენს დარიგებას აღვასრულებ, ვეცდები მამა სიკვდილს გადავარჩინო.

სარდუკარმა დრო დაუნიშნა სასახლეში მისვლისა და წავიდა.

**

ნაბუქოდონოსორს საქმეები დაემთავრებინა და თავის მშვენიერს სასახლეში განცხრომას მისცემოდა. გარეშემორტყმული თავის ძლევა-მოსილ ომების მხატვრობა-ქანდაკებით დაფიქრებული გაიცქირებოდა შვენიერ ბაღისაკენ, რომელიც ღია კარებიდგან მოსჩანდა. სრული დუმილი მეფობდა ამ ოთახში და ქალაქის ქრიამულს სრულებით მოშორებული იყო. აქედგანვე სჩანდა ეფრატის მდინარე და ზედ-გადებული ხიდები.

წყნარად აიხადა ფარდა და ოთახში სარდუკარი შემოვიდა, დაემხო ხელმწიფის წინ იატაკზე და მოახსენა:

— არ ინებებს ღმერთი და ხელმწიფე ბაბილონისა მიიღოს ებრაელის ქალი? მოვიდა სასახლეში და თქვენს ბრძანებას ელის.

ნაბუქოდონოსორმა შეხედა სარ

წესებულება უფრო ხელ-შემწყობი იქნებოდა, უფრო საჭირო და სასურველი ჩვენებურ სოფლისათვის.

დიდს მადლს დასდებდა ჩვენს სოფელს და ჩვენს გლეხ-კაცობას თუ იმ ადგილის კაცი ვინმე, სადაც ეს ამხანაგობანი მოქმედებდნენ, ამ მხრით ჩაუკვირდება ამ საქმეს და ბოლოს საბუთებს შეჰკრებს იმის ავისას და კარგისას. აქ ერთს უდიდესს საბუთს შეადგენს თვით გლეხ-კაცობის აზრი. მეტად საყურადღებო იქნება ცოდნა იმისი, თუ რა თვალით უყურებენ გლეხნი ხსენებულ ამხანაგობათა, რა მიზეზით აიყარეს გული, რას მოელოდნენ და რაში გაუმტყუნდათ მოლოდინი.

ვწერთ ამას იმ იმედით, რომ ჩვენის სოფლისა და გლეხ-კაცის გულ-შემატკივარი კაცი ყურს ათხოვებს ამ წერილით წინ-წამოყენებულს საგანს, ადგილასვე გამოარკვევს საბუთებს და მიზეზებს ამხანაგობათა ავ-კარგიანობისას და ამ გზით შესაძლოდ გახდის კაცმა უფრო შესაფერებელი, უფრო კეთილად გამოსაყენი სხვა სახის საკრედიტო დაწესებულება ურჩიოს ჩვენებურ გლეხ-კაცობას, რადგან „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა“ ასე თვალ-და-თვალ დაგვანახვეს თავისი უღონობა და უხეირობა.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, 27 იანვარს, საღამოს 7½ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა გარდა, კრება განიხილავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხარჯთა აღრიცხვას და ტფილისის საბაღოსნო სკოლისას 1890 წლისათვის. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებაზე.

*** გუშინ, ამ თვის 25-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ვაჰან მამიკონოვისა და იოანე ხაჩატუროვის საქმე. ხაჩატუროვი უჩიოდა მამიკონოვს, რომ თეატრში შეურაცხება მომაყენაო. ამის გამო შარშანვე მომრიგებელმა მოსამართლემ ორი თვე ციხე გადაუწყვიტა მამიკონოვს, მაგრამ მამიკონოვი არ დაკმაყოფილდა ამ გადაწყვეტილებით და საჩივარი გადაიტანა ოლქის სასამართლოში. ოლქის სასამართლომ განიხილა ბ-ნ მამიკონოვის აპელლაცია და დაადგინა, რომ მამიკონოვი დამნაშავეა ამ საქმეში და, ორის თვეის მაგიერ, ორის კვირის ვადით ციხე გადაუწყვიტა.

*** მოსკოვში გამოსულა მესამე წიგნი «Этнографическое Обозрѣніе»-სი, რომელშიაც დაბეჭდილია სხვათა შორის: წერილი ბ-ნ ახაზაძისა: „Грузинская семейная община“, წერილი ა. ხახანაშვილისა «Празднованіе новаго года у грузинъ» და მცირე საბიბლიოგრაფიო შენიშვნა იმ ფელეტონებს შესახებ, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა „აისტორიას“ სათაურით.

*** ახალი პიესა გ. სუნდუკიანცისა „მეუღლენი“ წარმოდგენილი იქნება საზაფხულო თეატრში ორშაბათს, 29 იანვარს, სომხურ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** ფოთი: აქაურს ოთხ-კლასიანს სამოქალაქო სასწავლებელში მეგრული ენა შემოიღეს და მეგრულს ენაზედ დააწყებინეს ბავშვებს სწავლება საგნებისა. ქართულს ენას ამ სკოლაში აღარ ასწავლიან.

*** იქიდამ ვე: აქაურ ქართულ წიგნების მაღაზიის პატრონ ბ-ნ ნოდიას ნაკლებ ჰყავს მუშტარი თვით ფოთელებში. უფრო ბევრს ჰყიდულობენ ქართულ წიგნებს სოფლელები, რომელთაც ბ-ნი ნოდია ძალიან ემადლიერება. ემადლიერება აგრეთვე ყოვლად სამღვდელოს გრიგოლს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს, რომელიც მრავლად ჰყიდულობს წიგნებს და ჰგზავნის საბლაღოჩინოებში მღვდლებისათვის.

*** „Моск. Вѣд.“-ი ამბობს, რომ 17 იანვარს მოსკოვის მერვე საარქეოლოგიო კრებაზე ბ-ნმა ხახანაშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენება რუმიანცევის მუზეუმის ქართულ ხელ-ნაწერების შესახებ. სულ მუზეუმში თერამეტი ხელ ნაწერი ყოფილა. მათ შორის ხუთი ეტრატზეა დაწერილი და პალეოგრაფიულის ხასიათით მე-XI—XII საუკუნისა უნდა იყოსო. ეს ხელნაწერები სვანეთიდამ არის გამოტანილი და მუზეუმისათვის გაუგზავნია ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს ბ-ნს სტოიანოვს. ბოლოს რეფერანტმა უამბო კრებას რუმიანცევის მუზეუმში დაცულის „ქართლის ცხოვრების“ შინაარსი და შეადარა ამ მატიანეს ხელ ნაწერი სხვა ვარიანტებს. მუზეის ხელ-ნაწერი „ქართლის ცხოვრება“ მიუტანიათ მოსკოვში 1821 წელს და ბატონიშვილს თეიმურაზს მიურთმევია კანცლერის გრაფ ნიკოლოზ პეტრეს ძე რუმიანცევისათვის.

*** გაზ. „Нов. Вр.“-ია ამბობს, რომ ამ წლის 1 ოქტომბერს რუსეთში იდღესასწაულებენ 50 წლის იუბილეის სახელმწიფო სამსახურისას სახელმწიფო საბჭოს წევრის ბარონ. პ. ნიკოლაისასო.

## პატარა სცენა

ფშაველი ბუჩუკური ჩავიდა თიანეთში და კარგად დათვრა. სამოცის წლის კაცი მოიყვა და ჯერ სასამართლო არ ენახა. მოინდომა მისი ნახვა და წავიდა კიდეც. სწორედ იმ დროს შევიდა სასამართლოში, როცა მოსამართლე საქმეებს არჩევდა. ბუჩუკური შევიდა, ქუდ-მოხდილი და დგა და დაიძახა მაღალის ხმით:

— ხელმწიფის ოჯახი აშენოს ღმერთმა. მერე მიუბრუნდა მსაჯულს და თარჯიმანს: ხელმწიფის მოჯამაგირეებსაც გაუმარჯოს! მერე დანაჩენს ხალხს: თქვენთვისაც გამარჯვება, ჯარო და ჯამაათო!

— ქუდი მოიხადე, ქუდი მოიხადე, კაცო, მოისმა ხმა აქეთ-იქიდამ.

— მოიხდი, მოიხდი ქუდსა, თქვენი ბუჩუკური გენაცვალოსთ! მოიხადა ბუჩუკურმა ქუდი და ეძებს დასაჯდომს ალაგს.

— ალაგიც აღარა გქონიათ!

მიდის და ჯდება დაბლა იატაკზე და დინჯად დაუწყებს ხაუბარს მსაჯულს. მსაჯული გაოცებით უცქერის.

— რა გინდა, ბიჭო?! ეკითხება მსაჯული ბუჩუკურს.

— შენი სიცოცხლე და კარგა ყოფნა, გენაცვალოს ბუჩუკური, ნუ გასჯავრდები-კია, შენი ბუჩუკური გენაცვალოს, ვაჟკაცო! ნუ იბუწუწები, ბეწვს ნუ იშლი, ღვთის-წყალობა აქვ ბუჩუკურსა, თორო... შენ არ გამაჯავრო-კია, თორროო!?. ემაგრე გენაცვალოს ბუჩუკური, ეგრე გაასამართლეთ ყველა, საწყალი კაცი გაიკითხეთ! ბერავი შაიბრალეთ, ეეე!

— გაიყვანეთ გარეთ! ისმის მრისხანე ხმა მსაჯულისა.

— გაყვანა რად მინდა? მე თითონ განა ვერ გავალ, თქვენი ბუჩუკური გენაცვალოსთ!..

გ—ა ფ—ლა

## ჩვენი სოფელი

(სოსიას ნაამბობი)

ჩვენი სოფელი დიდი სოფელია კახეთში, ალაზანს გაღმა მდებარეობს და 500 კომლამდე მცხოვრები ითვლება, თავად-აზნაურთ გარდა. სოფელი ქვემო და ზემო მრევლებად არის დაყოფილი, თითოეულს მრევლს თავ-თავისი მღვდელი ჰყავს დიაკვნებითა და მნათეებითურთ. გვაქვს აგრეთვე ერთი სასოფლო სკოლა, რომელშიაც 80—90 მოსწავლე ქალი თუ ვაჟი სწავლობს. გვყავს სამი „სუდია“, ორ-სამი „ზორჩიკი“, სამიოდ-ოთხიოდე გზირი, ექვსიოდ რჩეული კაცი, ერთი მწერალი, ერთი ნაცვალი და ერთიც მამასახლისი. უკაცრაოდ, რომ სოფლის სახელი ვერ გამომიქვეყნებია. მინდოდა დამესახელებინა, მაგრამ, რა ვიცი, მეფიქრება ცოტა: საყდლოში არავინს მწყდეს და კუდით ქვა არ მასროლინოს. ან-კი რა საჭიროა სახელი სოფლისა. რაც ჩვენში ამბავია, სხვაგანაც ის არის. რა ვიცი; მე-კი ასე მგონია და! იქნება თქვენში სხვაფრივ იყოს და ჩვენში ასე: ჩვენ მოვალენი ვართ მივართვათ მღვდელს კომლზე ერთი ჩაფი ღვინო, ერთი კოდი პური, ხუთი ლიტრა ქერი, გარდა, რასაკვირველია, ჯვარ-საწერისა, მიცვალებულისა, მოსანათლისა, გასანათლისა, დასანათლისა და სხვა-დასხვა მრავლისა, მოვალენი ვართ აგრეთვე დავუჭიროთ თითო მნათე, რომელსაც სოფელი აძლევს ჯამაგირს, რომ მღვდელს ემსახუროს.

აქაურს სკოლაში ცოტაოდენი ანგარიში ვისწავლე და იმის მოსვენება აღარა მაქვს: ხან რას ვანგარიშობ და ხან რას. ერთხელ ვსთქვი: მოდი ვიანგარიშებ ჩემთვის, ვნახოთ მღვდლების შენახვა რა გვიჯდება-მეთქი. ავიღე ჯერ და ფასად ვიანგარიშე ღვინო, პური, ქერი, გამოვიდა 7 მან. გავამრავლე შვიდჯერ ხუთასი და შემდგა 3,500 მან. ამას დავუმატე მნათეების ჯამაგირი 160 მანეთი და შესდგა სულ 3,660 მან. არ გავკვირდი. ღვინის მოსავალი თუ იქნება, არაფერი, მივართვათ მომღვარს ღვინო: ისევ ჩვენვე დაგვლოცავს და ჩვენს მკვდრებსვე მოიხსენიებს, თუ არ არის ღვინო? გინდა თუ არა, თავში ქვა იხალე, მუცელში სამართებელი და გაიჩინე! მე, საწყალ სოსიას, თქვენ უმორჩილეს ყმას წელს ერთი გოდორი ყურძენი მომივიდა, ისიც ხილადვე შევჭამე. მეტი რა ღონე მქონდა, ვიყიდე ღვინო და მივართვი მომღვარს, ოღონდ არ გამრისხებოდა და ჩემი ახალი მიცვალებული ზატარა პელო მოეხსენებინა. კიდევ კარგია ერთი ჩვენი მომღვართაგანი გვწყალობს და ღვინოში რა გინდა მიართვა, რომ არ აიღოს — ქათამი, ინდაური, წინდები. დაგვლოცავს კიდეც. ვენაცვალე იმისთანა მომღვარს, რომელიც საწყალ კაცს შეიბრალებს! ეჰ, მეორე-კი ღვთის რისხვაა სწორედ: ან ღვინო, ან სამი მანათიო! თავში ქვა იხალე და საიდგანაც გინდა, იქიდგან მომიტანეო. მნათეებისა-კი მე ვერა გამიგია-რა. მნათე ეკკლესიის მსახური მგონია, რომელიც მოვალეა საყდარი დაწმინდოს, სანთელი გაჰქიდოს და კვირა უქმით წირვა-ლოცვაზე დასწრას. ამას უჯამაგიროდ ჩვენი მოხუცები ისეც ხალისით იკისრებენ. ბევრგან ასეა. ჩვენში-კი წლითი-წლამდე მნათე მღვდელს უნდა ემსახუროს და მუქთად ვინ გიყვა ემსახურება.

რადგან ანგარიშზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება ჩვენის სოფლის

---

დუკარს, გაიღიმა და ხიზლით უპასუხა: შემოიდეს!

გაბრუნდა თუ არა სარდუკარი, შემოვიდა მირიამი პირ-ბადე ჩამოფარებული. მშვენიერმა ტანადმა ქალმა აჩრდილივით გამოიარა ოთახში და ხელმწიფის წინ დაიჩოქა; აღაპყრო ხელები და ვედრება-ტირილით წარმოსთქვა:

— ყოვლად შემძლებელო ხელმწიფეო და მბრძანებელო, შეიბრალე მამაჩემი!

— შენა ხარ მირიამი? ჰკითხა ხელმწიფემ: მე მიქეს შენი სილამაზე. ვერ აიხსნი პირბადეს?

მარიამმა აასრულა ბრძანება და უპასუხა:

— მე ვეღარ ვიკადრებოდი შენის ხელმწიფობის მზეებრს ბრწყინვალებას, მაგრამ მიბრძანებ და მეც გემორჩილები.

— ჭეშმარიტად ძლიერ მშვენიერი ყოფილხარ! წამოიძახა ქალის სილამაზით განცვიფრებულმა ნაბუქოდონოსორმა. მთელს ჩემს სახელმწიფოში სილამაზით შენ ვერავინ შეგედრება.

ქალი გაწითლდა და უნებლიედ ათრთოლდა.

— მამაშენს დიდი დანაშაული ჰბრალდება, დაიწყო პატარა ხანს შემდეგ ნაბუქოდონოსორმა და დაშტერებითა და სიამოვნებით სინჯავდა მირიამს: მამაშენი და ნაბო ღირსნი არიან სიკვდილით დასჯისა.

— შეიბრალე, ხელმწიფეო! ევედრებოდა ქალი.

— შენ მომწონხარ და შენის გულისთვის აღარ გამოვიჩენ სასტიკობას.

— ოჰ, ყოვლად შემძლებელო ხელმწიფეო, გამოიჩინე მეფური უფლება და მოიღე მოწყალება! მირიამმა მოკლედ და გრძნობით უამბო მეფეს თავის მამის კაი-კაცობა და სთხოვა, შეიწყალე ისა და ნაბოვო: მთელს ჩემს სიცოცხლეში შენთვის ვილოცავ! შენ იქნები ჩემთვის უდიდესი და უგანათლებულესი ხელმწიფე!

ნაბუქოდონოსორმა ააყენა ქალი და უთხრა:

— კარგი, მოვიფიქრებ, როგორ ვუშველო მამაშენს და სარდუკარის პირით შეგატყობინებ.

მირიამმა კვლავ დაიჩოქა, მადლობა გადაუხადა და გამოვიდა. ნაბუქოდონოსორმა თვალი გაადევნა და სთქვა:

— ეს ქალი ჩემი უნდა იყოს! მე ეგრე მსურს!

**

მირიამს გული გადაელია ცდით. ელოდდა და ხელმწიფისაგან ამბავი არ მოსდიოდა. მოლოდინი და შიში გულს უწყლულებდა. ხმა გავარდა კიდეც, მალე მელექაზსა და ნაბოს სიკვდილით დასჯიანო. მირიამი სთვლიდა საათებს, წუთებს, მაგრამ სარდუკარი არ მოდიოდა. ებრაელები მალ მალ იკრიბებოდნენ და მელექაზისთვის ლოცულობდნენ.

როდესაც მირიამს ყოველივე იმედი გადუწყდა, უცბად გაჩნდა სარდუკარი, მოკრძალებით მიუახლოვდა ქალსა და უთხრა:

— ჩემმა მბრძანებელმა მოწყალედ მოგიკითხა. მზად არის თხოვნა შეგისრულოს, თუ ცოლად გაუხდები. ორ ნაირს მოწყალებას გპირებს და ეხლა შენ იცი, როგორც ღირსეულად დააფასებ მის სულგრძელობას. გაიგონა თუ არა ეს მირიამმა, საშინლად შესწივლა და ღონე მიხდილი უგრძნობლად დაეშვა სკამზე. აღარაფერი არ ესმოდა, მხოლოდ ის-კი გაიგონა, რომ სარდუკარმა წასვლის დროს სთქვა: პასუხის შესატყობლად ხვალ მოვალო.

მოხუცებულის მოახლეს წყალობით მირიამი მობრუნდა, მაგრამ ვაი იმ მობრუნებას! მთელი ღამე საშინელს მდგომარეობაში იყო. ფიქრები ათას ნაირად ერეოდა და ეხლართებოდა. არ იცოდა რა ექნა და ღმერთს სიკვდილს შესთხოვდა. გათენდა დილა და მირიამი სხვა გადაწყვეტილებას დაადგა. „იმან მომცა სიცოცხლე და იმასვე უნდა შევწირო!“ ამბობდა მირიამი.

სარდუკარიც მოვიდა.

— გინდა თუ არა დაიხსნა მამაშენი?

— დიახ, მინდა, მიუგო მირიამმა.

— მაშ თუ ეგრეა, მომილოცავს. ხელმწიფის სახელით გიცხადებ, რომ მამაშენი ეხლავე იერუსალიმში უნდა გაემგზავროს და იქ დაიწყოს თავისთვის ცხოვრება, ნაბო გაიგზავნება ქალაქ ერეხში, სადაც იქაურ ქურუმთა მხედველობის ქვეშ იქმნება. შენ-კი დღესვე უნდა გადმოხვიდე სასახლეში და სამუდამოდ იქ დარჩე. თანახმა ხარ ამაზე, თუ არა?

— თანახმა ვარ, გადაჭრით უპასუხა მირიამმა: მხოლოდ ერთი სათხოვარი კიდევა მაქვს და იმედია, ხელმწიფე ამასაც შემისრულებს, მე ჯერ-ჯერობით ტყვესავით ცალკე უნდა მამყოფოთ, ვიდრე მამიჩემისა და ნაბოსგან ამბავს მივიღებდე, რომ განსაცდელს გადარჩნენ და მშვიდობით არიან.

— მაგ თხოვნის შესრულებას მე თითონ ჩემით დაგპირდები, უპასუხა სარდუკარმა.

იმავ დღესვე ჩარდახიანის ტახტრევანით მირიამი სასახლეში გადიყვანეს.

**

ამ ამბის დასასრული ერთს სხვა ბაბილონურს მოთხრობაშია:

ორის კვირის შემდეგ სარდუკარი შევიდა მირიამთან და ორი დაწერილი ფილაქანი მისცა: ერთი მამისაგან და მეორე ნაბოსაგან გამოგზავნილი.

იწერებოდნენ, რომ გადავრჩით განსაცდელსა და უშიშრად ვცხოვრობთო.

— ხელმწიფე გელის, უთხრა სარდუკარმა.

მირიამი შიშმა აიტაცა, მაგრამ თავი შეიკავა და უპასუხა:

— მოახსენე, რომ ეხლავ მოვირთვები და გიახლები-თქო.

როცა სარდუკარმა კარები გაიხურა, მირიამმა დაიჩოქა, აღაპყრო ხელები და ლოცვა დაიწყო. შემდეგ ამოიღო დამალული მახვილი და გული გაიგმირა.

— ღმერთო, მომეც შეძლება, დავიფარო სული და ხორცი სირცხვილისაგან, როგორც დავიფარე მამა და გულის საყვარელი! წარმოსთქვა უკანასკნელად მირიამმა და სული განუტევა.

ს. გძელიშვილი

სხვა ანგარიშებიც მოგახსენოთ და ჩვენებურის ფოსტის ფულის გაწერა აკრეფის წესიც გაგაცნოთ. ფოსტის ფულს წინ არა დაუდგება-რა, რადგან სახელმწიფო ხალხნი ვართ, მიწას ვამუშავებთ და ხარჯიც უნდა ვაძლიოთ, მხოლოდ ხარჯის მიცემაც არის და ხარჯისაც. ერთმა ენა-მახვილმა კაცმა სთქვა ჩვენ სოფელზე. იმ სოფელში რომ ჩაიარო და „სბორშჩიკობა“ დაირქვა, საღამომდინ ათ თუმან ფულს აჰკრებ და არავინ გკითხავს, შენ სადაური «სბორშჩიკი» ხარო. ასეც არის, ჩვენებურებმა კარგად იციან, იმერთის რუსულის თქმულობისა არ იყოს, ქვას რომ ფეხი წამოჰკრა, „სბორშჩიკი“ წამოგიხტება და „давай деньги“-ო, შემოგჩჩივლებს. რამდენი ფულის მკრეფავი გინდათ ჩამოგითვალოთ, წამოეკლოთ ხელი თითო ბრტყელ დავთრისათვის და დადიან კარის კარს, თითქო ალილობაო. ერთი რომ ჩამოივლის, მეორე მოჰყვება, მეორეს—მესამე, მესამეს—მეოთხე... ყოველ დღე ესე და ხეტიალობენ და ანადგურებენ ქათამს, ინდოურს. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ჯანდაბამდის გზა ჰქონდეთ, იარონ, თუ საქმე გამოლევიათ! უბედურება ის არის, რომ მუქთად არ დაიარებიან. როგორც სამი-ოთხი «სბორშჩიკია», ისე ყველას თავ თავისი სასბორშჩიკოც აქვს: ერთი იღებს კომლზე 2 შაურს, მეორე აბაზს მესამე—ხუთ შაურს და მეოთხე...

აკი გაუწყრათ ღმერთი და ახალწლამდის ვერ შეიტანეს ხვედრი ფული ხაზინაში! კაცდგა თუ არა ახალ-წელი, „ზეკუციაო“! დაიძახეს. რაღა ზეკუცია გვინდა, ისეც ყოველ დღე ზეკუცია არ არის? თუ-კი ინდაურს მომიკლავ, ქათმებს ზედ წააკლავ, საიასაულოს წამართმევ და ფოსტის ფულში არ გაიბრი, ზეკუცია მეტი რაღაა! ეს დალოცვილი ჩაფრებიც თურმე მაან პირის პატივს არიან დაჩვეულნი: თუ არ ინდაურ-ქათამს და წითელ ღვინოს, სხვას არას ეწყობიან. როცა ჩემ ნათლიდედა კატინეს ერთადერთი ინდაური მოუკლეს (საწყალი, სააღდგომოდ ინახავდა და აღარ დასცალდა!) „კაცო, ვუთხარი, ე ინდაური ფულში მაინც გაიბარეთ, ერთი მანათი მაინც არა ღირს-მეთქი? ასე მიპასუხეს: „შე ოჯახ-დაქცეულო! მაშ ამოდენა ხალხს და ამ ხემწიფის კაცს რა ვაჭამოთო?“

თორმეტი რჩეული კაციც მაან სინიდისიანად გააწერენ ხოლმე ფულს. ნეტა აკრეფილს მაინც არა სჭამდნენ და სხვაფრივ, რაც უნდა ქმნან. საზრალო ჩვენის სოფლის „უჩიტლის“ ფული გაექან-გამოექანებინათ ამას წინად. როცა ჰკითხა ჩვენის ბიჭების ოსტატმა, ეს ხომ ვიცი აკრეფილი გაქვთ, რა უყავითო. „ბატონო, თქვენ რას დაეძებთ, ხელად გავაწერთ კიდევ და მალე მოგართმევთო. ის ფული-კი ზოგი რაში მივეცით და ზოგი რაშიო. ზოგიც „ბორჩიკ-ნაცვალ-გზირ მწერალს“—თორმეტ კაცს პური ეჭამნათ და ყველ-ღვინო ეყიდნათო. ვინ არის გიჟი, მაშ ამოდენა ფული (10540 მ!) მუქთად იანგარიშოს და გააწეროსო. პურს აღარ აჭმევთო? ორი-სამის თუმნისა-კი სულ ადგილი ვერ უჩვენეს, სად მიეცათ. „შენ ხო იცის კაცო, რაშიაც დავხარჯეთო“, უმოწმობდნენ ერთი მეორეს. იქნება ჭორიც იყოს, ღმერთო, შენ-კი ნუ მიწყენ და იმასაც-კი მოგახსენებენ, რომ შარშანდელმა ერთმა „ბორჩიკმა“ შვიდი თუმანი გააქანა სადღაცა და ერთს სადილზე ჩაუტარესო. ეჰ, იქნება, ხშირად თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც ამისთანა დიდ სოფლებში მაზრის უფროსი მობრძანდებოდეს და ანგარიშს მოსთხოვდეს ხოლმე მოხელეებს?!

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთს „ივერიაში“.

ვინც კეთილ ინებებს ქართულის წიგნის მოწოდებას კიევის ქართველ სტუდენტობის წიგნთ-საცავისათვის, უმორჩილესად ვსთხოვთ შემდეგის ადრესით მოგვაწოდოს.

Въ Кiевъ. духовная Академiя. Студенту Калистрату Цинцадзе.

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

მარხვანი და ტიბიკონი ერთად, ხუცური ხელ-ნაწერი 31×20 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, ტექსტი ნაწერია ორ სვეტად და თითოეულ სვეტზე დატეულია 26 სტრიქონი მელანი შავია, მაგრამ კინოვარული ფრაზებიც ბევრი მოიპოვება ტექსტში. პაგინაცია მარხვანს ჩვეულებრივი აქვს ხუცურის ასოებით, ხოლო ტიბიკონს სულ არა აქვს. ხელიც ტიბიკონისა სხვაა, მარხვანისა—სხვა. მარხვანი შეიცავს 394 ფურცელს, თავში აკლია 8 ფურცელი. ტიბიკონი შეიცავს 33 ფურცელს და სრულიად არის დაცული. ამ ხელნაწერს აქვს ხის ყდა, ტყავ გადაკრული, მაგრამ ყდა ეხლა დამტვრეულია, ფურცლებიც ზოგიერთ ადგილას დაფუშულია, არა სჩანს, თუ როდის არის გადაწერილი ეს ხელ-ნაწერი, მაგრამ პალეოგრაფიულის ხასიათით-კი მე-XVIII საუკ. ეკუთვნის. წარწერებშიაც მე-XVIII საუკ. კაცნი არიან ნახსენები. მარხვანი ეხლა იწყება შემდეგის სიტყვებით:

და მ̃თ ასულნო იელმ̃სნო ნუ სტირთ ჩ̃მ ზ̃ა... ბოლო: დაჴ̃ტზა ც̃თა ქ̃ს ივს მ̃რ იქმნა. დასაწყისი ტიბიკონისა:

მარკოზის თავთაგან თუ ვითარ იკითხების მარხვანი... ბოლო: დღეთა მეექვსის. ქ̃ კასა შვდეულთა ბ̃ი ალესრულა [1]). ამას შემდეგ სხვა ხუცურის ხელის ეკითხულობთ:

ღმერთო, მოიხსენე ამ წიგნის შემკაზმელი მათე მღვდელ̃ი მონაზონი სალუქაძე (sic) სიცოცხლით, ცხონებით, სასუფეველსა შენსა, ამინ და კირიელეისონ. ვინცა შე̃დობა მიბრძანო, ქრისტემან შეგინდოთ. მე-23 გვ. სწერია:

წ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე გრიგოლ ბერი ფრიად ცოდვილი სასუფეველსა შენსა. ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

მე-168 გვ. დაბლა ამაზე უშნო მხედრულის ხელით სწერია:

ქრ. ღმერთო და ამ მარხვანისა მადლით, მოიხსენე ბატონიშვილი ვახტანგ [2]) სასუფეველსა თჳსსა ყოველსავე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მე-173 გვ. დაბლა არშიაზე ხუცურის მღვდელის ხელით სწერია:

ღმერთო, მოიხსენე მახარობელი ყოფილი მათე ზალუქაძე სასუფეველსა შენსა სიცოცხლით, სიმრთელით, ცხონებით. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო მაცხოვნე მე...

მე 181 გვ. დაბლა არშიაზეო, უშნო მხედრულის ხელით სწერია:

ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ფრიად ცოდვილი ბატონიშვილი სვიმონ [3]) სასუფეველსა შენსა ყოვლადვე აწ და მარადის.

მე-227 გვ. დაბლა არშიაზე მხედრულის გვიანის ხელით სწერია: ღმერთო, მოიხსენე არდიშვილი ანდრია, აცხონე, აცოცხლე.

მე-2[illegible]8 გვ. დაბლა არშიაზე რამდენიმე ხელის სურათია უშნოდ დახატული და მერმე სწერია:

ღმერთო, მოიხსენე ყოვლად ცოდვილი შემოქმედელ მიტროპოლიტი.

მე-264 გვ. დაბლა არშიაზე მხედრულის ხელით სწერია:

ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ორთავე შინა ცხოვრებასა გოგიტიძე გაბრიელი.

მე-576 გვ. მხედრულის უშნო ხელით დაბლა არშიაზე სწერია:

ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ბატონიშვილი ქაიხოსრო [4]) სასუფეველსა შენსა.

ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ბატონიშვილ ქაიხოსროს გაგამდელი.

ე. თ—ლი

(შემდეგი იქნება)

[1]) ეს სიტყვა ასო-მთავრულით და ხელჩართულით არის დაწერილი.

[2]) ეს ვახტანგი უნდა იყოს გურიელ გიორგის შვილი, რომელიც პირველად იხსენიება გუჯარში 1788 წელს და უკანასკნელად 1812 წელს, მაგრამ როდის გარდაიცვალა არ ვიცით. დამარხულია ჯუმათში. (Бакрадзе. Арх. пут. по Гур. и Аджарѣ стр. 337).

[4]) ეს ქაიხოსრო არის ზემო მოხსენებულ ვახტანგისა და სვიმონის ძმა, რომელსაც უჩვენებს ერთი აქტი 1800 წლისა. როდის გარდაიცვალა, არ ვიცით. ცოლი მისი ელისაბედი, ქაიხოსრო ერისთავის ქალი, მიიცვალა ტფილისში 1844 6 მაისს და დამარხულია შემოქმედში.

[3]) ეს სვიმონი უნდა იყოს გურიელ გიორგის შვილი და ზემო შენიშვნაში მოხსენებულს ვახტანგის ძმა. როდის მიიცვალა, არ ვიცით, მაგრამ ის მოიხსენება გუჯრებში 1789 და 1790 წლებში. მისი ცოლი წერეთლის ქალი მარინე, ანუ მარიამი, გარდაიცვალა 4 მარტს 1814 წ. (ibid, стр. 137).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად მოსკოვში გამოვიდა ერთი ახალი წიგნი თეატრის კრიტიკოსის ვასილიევისა. ეს წიგნი გრიბოედოვის უკვდავ პიესა „Горе отъ ума“-დგან არის ამოღებული, ამ პიესის გმირის როლია ცალკე გამოცემული. ეს გამოცემა მით უფრო საყურადღებოა, რომ როლის მოთამაშე არტისტს დიდს მასალას აძლევს როლის თამაშობისას. ამ წიგნს მოჰყვება სხვა წიგნებიც, სხვა-და-სხვა როლი ცალკეკედ, და საერთოდ-კი ეწოდება „დრამატიული ხასიათები“. პირველ წიგნს წინასიტყვაობა მიუძღვის გამომცემლისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ

როცა ახალს როლს ასრულებს რომელიმე არტისტი, უნდა იცოდეს კიდეც რა როლია ის როლი, რამდენის წლისაა გმირი, ვინა ჰყოლია მშობლებად, რა გავლენა ჰქონიათ ამ მშობლებს შვილზედ, როგორ აღზრდილა გმირი, ვისთან ჰქონია ნაცნობობა და მეგობრობა, რა უნდა, რას თანაუგრძნობს. ძნელია როლის შექმნა იმ ადგილიდგან, სადაც პიესაში იწყება. არტისტმა უპირველეს ყოვლისა სულ ერთიან უნდა გაითვალისწინოს გმირის მიერ გამოვლილი ცხოვრება. არტისტს გმირის უკეთესად შექმნისათვის როლის ანალიზი უნდა შეეძლოს. იმდენი უნარი უნდა ჰქონდეს, რომ თავი მოუყაროს ერთად ყოველსავე წვრილმანს, რასაც-კი შეჰხვდება პიესაში იმ გმირის შესახებ. სავსებით უნდა იცოდეს, რა აზრისანი არიან გმირის გამო სხვა მომქმედნი პირნი. როცა ყოველსავე ამას შეიტყობს კარგად არტისტი, დანარჩენი თითონ უნდა შეავსოს, და გამოუხატება თვალ-წინ ის ადამიანი, რომლის დახატვასაც არის მოწადინებული.

აი ამ აზრით ბ-ნს ვასილიევს თავის პირველ გამოცემულს წიგნში მოუთავსებია ფამუსოვისა, სოფიასი, ჩაცკისა, ლიზასი და ხლესტაკოვის აზრი მოლჩალინის შესახებ. შემდეგ გარჩეულია დაწვრილებით მოლჩალინის ხასიათი და, დასასრულ, ცალკე გმირის ტანისამოსის თაობაზედ ლაპარაკობს.

**

გაზ. „Русск. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია ფელეტონი რუსეთის ცნობილ მეფელეტონეს „Буква“-სი. მეფელეტონეს მოჰყავს საინტერესო ციფრები „Ежегодникъ Министерства Финансовъ“-იდგან, რომელიც იმ საგანს შეეხება, თუ რუსი რამდენს არაყსა სვამს წელიწადში ორთა შუა რიცხვით. აი რას ამბობს მეფელეტონე:

ჩვენში ძალიან ბევრსა სვამენ, მართალია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის მკვიდრთა რიცხვი 100 მილიონს შეადგენს! ანგარიშის დროს როგორ უნდა დავთვალოთ კაცმა: ჭიქობით თუ ვედრობით? გინდა გაგიკვირდეთ, გინდა ნუ და ფინანსთა სამინისტროს წიგნი-კი ვედრობით ანგარიშობს. ოფიციალური სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ყველა რუსი წელიწადში ნახევარ ვედრაზედ ცოტა მეტს არაყსა სვამს. ეს ნახევარი ვედრა ორთა შუა რიცხვით არის ნაანგარიშევი, ასე რომ ამ ანგარიშით ძუძუ-მწოვარა ბავშვიცა და ინსტიტუტში მოსწავლე უმანკო ქალიც თავისს წილს ნახევარ ვედროს არაყსა სვამს.

შემდეგ მეფელეტონე ადარებს სასმელების დუქნებისა და სასწავლებლების რიცხვს ერთმანეთს და ამის შესადარებელი ციფრებიც იმავე სამინისტროს წიგნიდგან მოჰყავს. საზოგადოდ

მთელს რუსეთში 150,000 სამიკიტნო არსებობს. პირველ-დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი-კი ამ წლის პირველ იანვარს 25,000 უდრიდა, ასე რომ, მოკლედ რომ ითქვას, რუსეთში სამიკიტნო ექვსჯერ მეტია დაარსებული, ვიდრე სასწავლებელი. ეს ლანდელს სასტატისტიკო ციფრებს-კი რომ დააკვირდეთ, გამოდის, რომ რუსეთში ყოველ თითოეულს სასწავლებელზედ ექვსი სამიკიტნო მოდის და თითოეულ რუსზედ ნახევარ ვედრა არაყი.

რაღა თქმა უნდა, სამინისტროს წიგნში მოყვანილი ციფრები უფრო მეტს ეუბნება მკითხველის თვალსა და გონებას, უფრო მჭევრად მეტყველებს, ვიდრე მეფელეტონე. იმავ ციფრებიდგან სჩანს, მაგალითებრ, რომ ყოველ 4,000 რუსზედ ერთი სასწავლებელი მოდის და ერთი სამიკიტნო-კი თითქმის ყოველ 667 კაცისთვის არის დაარსებული. ამას უნდა დაემატოს, რომ ის 667 რუსეთის მკვიდრი, რომელთათვისაც სამიკიტნოა დაარსებული, ამ დაწესებულებით უკლებლად სარგებლობენ, და პირველ-დაწყებითს სასწავლებელში კი, 4,000 რუსისთვის დაარსებულში, ძნელად თუ 40 მოსწავლე მოიპოვებოდეს!..

## რუსეთი

წელს საერო განათლების მინისტრის ნება-დართვით გადააკეთებენ ნიჟეგოროდის რეალურს სასწავლებელს სატეხნიკო სასწავლებლად. ყველას სასიამოვნოდ დარჩა ეს ამბავი ამ ქალაქში. ქალაქმა 100,000 მან. გადასდო სახლის გადასაკეთებლად და საჭირო მოწყობილობის შესაძენად. სათემო კრებამ ერთ-ხანად შესწირა სკოლას 24,000 მან., ხოლო ყოველ წლივ დაჰპირდა სამ-სამ ათასს მანათს.

— რუსეთში უნდათ, რომ სახამებლის კეთებას ხელი შეუწყონ და მეფარეელობა გაუწიონ. ამიტომ მთავრობა აპირობს ამ მოკლე ხანში ბაჟი მოუმატოს უცხოეთიდამ შემოტანილს სახამებელს.

— რუსეთში სულ 10 საქციონერო საადგილ-მამულო ბანკია. ყველა ამ ბანკებს 1889 წლის 1 ივლისამდე გაუციათ სესხად 283.727,915 მან. სესხი მიუციათ 21,917 კაცისა და დაწესებულებისათვის. ყველაზე მეტი სესხი აუღია პოდოლის გუბერნიას. ამ სესხიდამ 90,61% თავადაზნაურთ აუღიათ, ხოლო გლეხებს 2,22%. სულ გლეხ-კაცობას ამ ათის ბანკიდამ აუღია სესხად 20.613,659, ანუ 7,27% მთელის იმ სესხისა, რაც გაუციათ ზემოხსენებულ ბანკებს.

— პ. განზენს გადაუთარგმნია რამდენიმე თხზულება შჩედრინისა დანიურს ენაზედ. ეს თხზულებანი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

— ლინდფორსს გადუთარგმნია ფინურად რამდენიმე თხზულება გოგოლისა.

— „Новости“ ამბობს, რომ მთავრობამ აუკრძალა რკინის გზებს კარებების დაკეტვა ვაგონებში მატარებლის სიარულის დროს, რადგან კარებების დაკეტვა საშიშია, ვინიცობაა ცეცხლი გაჩნდა ვაგონებშიო. ამას გარდა მთავრობას უთხოვნია ყველა რკინის გზისათვის, რომ ამას იქით ნავთით აღარ გაანათონ ვაგონები და იმის მაგიერ კართოფილის სანთელი იხმარონ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ერთის წლის განმავლობაში წესდება შვიდის მკურნალთა საზოგადოებისა და ნება დაურთავს, რომ გაიმართოს რუსეთის სხვა-და-სხვა ალაგას 40 სამკურნალო, მშობიარეთა ბინა, ყვავილის ასაცრელი დაწესებულება და თავშესაფარი ძიძათათვის.

— მთელის წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში 2,312 კაცს მოუკლავს თავი, 3,803 კაცი მოუკლავთ და 901 ყმაწვილი. ამას გარდა მომკვდარა 340 ყმაწვილი უპატრონობით.

## უცხოეთი

გერმანია. პრუსიის ლანდტაგში 16 იანვარს განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვა სახელმწიფო არხივისა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ვინდჰორსტმა იკითხა იმ ახალის ისტორიის ამბავი, რომელსაც სწერს ზიბელი, დირექ-

ტორი და პრუსიის ისტორიოგრაფი. „ცოტა არ იყოს ვეჭვობ, სთქვა ვინდჰორსტმა, რომ ზიბელის გამოკვლევა ალაგ-ალაგ წინადვე აჩემებულის აზრის დასამტკიცებლად არის დაწერილი, და ამიტომ სასურველია, რომ იგივე ხანა ახალის ჩვენის ისტორიისა სხვა ისტორიკოსებმაც გამოიკვლიონ არხივების საბუთების შემწეობით. მე მინდა გავიგო და ვთხოვ ბ-ნს მინისტრს მიპასუხოს, მიეცა რომელსამე სხვა ისტორიკოსსაც ნება, რომ გაეჩხრიკა არხივის საბუთები, თუ არა. ან თუ არავის ეგ ნება არ მისცემია, იმედია, რომ ამის შემდეგ მაინც მიეცეს ვისმე სხვასაც, ზიბელს გარდა? რაკი აქ ლაპარაკი იმაზე ჩამოვარდა, რომ სახოგადოების ფული გადავდოთ არხივისათვის, ამიტომ, მგონია, ნება მაქვს ვკითხო, რა აზრით ხელმძღვანელობს მთავრობა, როცა ერთს აძლევს ნებას არხივში მუშაობისას და მეორესკი არა“.

ლანდტაგის კრებაზე მინისტრი არ იყო და იმის მაგიერ არხივის ერთ-ერთმა გამგებელმა დ—რმა ზმატლერმა უპასუხა ვინდჰორსტს, რომ უმეტესი ნაწილი იმ საბუთებისა, რომელსაც სჩრეკდა ზიბელი, ჩვენის არხივისთვის არ გადმოუციათ და ჯერ ისევ სამინისტროებშია დაცულიო. დეპუტატმა ეინერნმა სთქვა ვინდჰორსტის პასუხად: „კლერიკალების მოთავე ვინდჰორსტის თქმულს აზრი მაშინ ექმნებოდა, რომ მთავრობას უარი ეთქვა რომელისამე კლერიკალის ისტორიკოსისათვის, არხივებში ნებას არ მოგცემ მუშაობისასაო“. რადგან ამ ისტორიკოსებში ჯერ არავის მოუნდომებია გერმანიის ახალის ისტორიის დაწერა, ამიტომ ვინდჰორსტის კითხვაც უქმი კითხვააო. ვინდჰორსტი: „აქ ნაციონალ-ლიბერალების ან კათოლიკეთა ისტორიკოსების შესახებ არავინ არას ამბობს, მე სხვა არა მინდა-რა იმის მეტი, რომ სრულიად მიუკერძოებელი და მიუდგომელი ისტორია დაიწეროს. ვეცდები კიდეც ყოველის ღონისძიებით, რომ სწორედ ამისთანა ისტორია იქმნას დაწერილი ზიბელის გამოკვლევათა მიუხედავად“.

# დეპეშა

24 იანვარი

პეტერბურგი. გამოვიდა უმაღლესი ნება-რთვა, რომ პეტერბურგში მოწოდებულ იქმნას 1892 წელს სესია საერთაშორისო სარკინის გზო კონგრესისა.

დღეს საერო განათლების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით დაიწყო კრებანი იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ცვლილებანი შემოიღოს იმ საგნებისა, რომელსაც დღეს გიმნაზიებში ასწავლიან.

„Нов. Время“ იუწყება, რომ პროექტი საგიმნაზიო საგნების სწავლების ცვლილებისა შესაძლოა წელსვე იქმნას განხილული სახელმწიფო საბჭოს მიერო.

იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს, რა მიზეზების გამო დაიწია ფასმა სხვა-და-სხვა სამეურნეო - სასოფლო ნაწარმოებისამაო, მიიღო ჯეროვანი ცნობანი ყველა ერობათაგან და წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი იმ ღონისძიებათა, რომელიც უნდა მიღებულ იქმნას, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები ადვილად იქმნას გადატანილ-გაგზავნილი აქეთ-იქით.

«Гражд.»-ი ამბობს: საერთო სადამოქნო ტარიფის გადამსინჯველს კომისიას ისე აქვს საქმე მომართული და ისეთს დროს უნდა გაათაოს, რომ სახელმწიფო საბჭომ პროექტის დამტკიცება 1891 წლამდე შეიძლოსო.

პარიჟი. „Journal des Debats“-ი განსაკუთრებულს წერილში აცხადებს: ელზასი და ლოტარინგია რომ სულაც არ შეერთებოდა გერმანიას, მაშინაც დასაჯერებელი არ იქნებოდა ის აზრი, ვითომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის კავშირი ჰსუფევს რუსეთის წინააღმდეგაო. არ იქნებოდა დასაჯერებელი და შესაწყნარებელი, რადგან ასეთი აზრი საფრანგეთის გრძნობასა ტრადიციასა და ინტერესებს ეწინააღმდეგება. პირ-იქით ცხადი და შეურყეველი საფუძველია, რომ დიპლომატებური მორიგება დამყარდეს რუსეთსა და საფრანგეთს შორის. ამისი საფუძველი 1870 წ. ადრე ჰსუფევდა და ვერავინ შეიძლებს იმის განადგურებასაო.

ვენა. გრ. ანდრაშის მდგომარეობა მეტად საფრთხილოა.

ლონდონი. მადრიდიდგან ამბავი მოვიდა, რომ ჰერცოგს მონპასიეს სეირნობის დროს წვეთი დაეცა და გარდაიცვალაო.

25 იანვარი

პეტერბურგი. სენატმა ვლადიკავკავის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარედ ნამყოფი ვიტკოვსკი დამნაშავედ სცნა, რომ მან აიძულა სასამართლოს ბოქაული ლინდორფი უკანონოდ მოქცეულიყო ბარანოვის ქონების საჯაროდ გასყიდვის დროს და რომ მან ყური არ უგდო, რათა შემოსავალ-გასავლის გამგეს ვეჩერკოს თავის დროზე წარმოედგინა ანგარიში 472 მანათის დახარჯვისა სასამართლოს ავეჯის განახლებისათვის; ხოლო როცა შეეხება იმ ბრალდებას, ვითომ ვიტკოვსკი ფულებსართმევდა სეკრეტრის თანაშემწეს მეშკოვს და ვითომ თავის მოსამსახურეებს კურიერებადა და სასამსახურეებად აჩვენებდა, სენატმა გაამართლა ვიტკოვსკი ამ ბრალდებისაგან. ვეჩერკო დამნაშავედ იქმნა ცნობილი, რომ თავის დროზედ არ წარადგენდა ხოლმე ანგარიშს. ბრალდებულთ გადუწყვიტეს: ვიტკოვსკის ჩამორთმევა თანამდებობისა, ხოლო ვეჩერკოს—სასტიკი საყვედური.

მოსკოვი. საარხეოლოგიო კრება გათავდა; შემდეგი კრება დაინიშნა 1893 წელს ვილნოში.

ბერლინი. „საიმპერიო მაჩვენებელში“ გამოცხადებული იმპერატორის ბრძანება იმპერიის კანცლერის სახელობაზე. ამ ბრძანებით ვალად ედება ბათ გერმანიის წარმომადგენელთ საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში და შვეიცარიაში, გაიგონ იქაურ მთავრობათაგან თანხმანი არიან თუ არა ჩამოაგდონ მოლაპარაკება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელიც ამ ბოლოს დროს მუშებს გაუჩნდათ. თუ ეს აზრი მიღებულ იქმნა, მაშინ იმპერიის კანცლერს ბრძანება მიეცემა მოიწვიოს კონფერენციაზე ყველა ის მთავრობანი, რომელნიც ერთნაირად თანაუგრძნობენ მუშათა საქმეს. მეორე ბრძანება ავალებს ვაჭრობის მინისტრს, რათა გადასინჯოს კანონები ხელოსნობის შესახებ იმ აზრით, რომ დააკმაყოფილოს სამართლიანი ჩივილი და უზრუნველ-ჰყოს მდგომარეობა მუშებისა და სამუშაოს პატრონთა. იმპერატორი აცხადებს, რომ მე მსურს, სახელმწიფო ქარხნები მთამადნისა სამაგალითო დაწესებულებანი იყოსო; ამ საგნების განსახილველად უნდა შეიკრიბოს სახელმწიფო საბჭო იმპერატორის თავ-მჯდომარეობით.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპზ=482 წელიწადი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

იანვარი 31 დღით არის

26 დღე პარასკევი. ქართველ. ღირსისა მამისა ქსენოფონტესი და შვილთა მისთა. ხსენება წმინდისა კეთილ მსახურისა მეფისა დავით მესამისა უოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა, ზედ წოდებით აღმაშენებლისა 1089—1155 წ. ასაფლავია გელათის მონასტერში ქუთაისს ახლო. კათოლ. წმ. პოლიკარპესი და პავლინასი. სომეხ. წმ სარქისის ეკკლესიის დღეობა. მზე ამოდის 7 საათ. 7 წუთ., ჩადის 5 საათ. 5 წუთ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 17 დღისაა.


## კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Arde Seguin, Boux, rue Croix de Seguey, № 106.

(208—2)

გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

## საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებააღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქლის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ქსომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз ценз. Тифлисъ 25-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.